ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3840047

ნომერი: AR1578539

თარიღი : 19.02.2018

გაცემის თარიღი : 26.02.2018

გაცნობის თარიღი : 27.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სოხუმი , N 4-6ა ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გაჩეჩილაძე პ/ნ 61001017433
- ბათუმი კ.გამსახურდიას გამზ. N 30 ბ. 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ ”ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) თანახმად, სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ასევე, ამავე დადგენილების მე-3 მუხლის “გ” პუნქტის თანახმად სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას განეკუთვნება ქ. თბილისის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის პოლიტიკის რეალიზაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება, მათში ცვლილებების შეტანა და დადგენილი წესით მათი დამტკიცება, გარდა ამისა, ამავე დებულების შესაბამისად, სამსახურის კომპეტენციას წარმოადგენს ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება, სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობების ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ასევე გაცნობებთ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მუხლი 20–ის თანახმად "მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომლებსაც უნებართვოდ ან სხვა მიზეზის შედეგად ნაწილობრივ დაშენების, მიშენების ან/და მანსარდის მოწყობის გამო დაკარგული აქვთ დასრულებული არქიტექტურული იერსახე, დაშენება, მიშენება ან/და მანსარდის მოწყობა ნებადართულია ერთიანი პროექტის საფუძველზე, იერსახის მოწესრიგების მიზნით".

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო ობიექტი ახლად აშენებული შენობაა და საპროექტო ფოტომონტაჟის ვარიანტით განსახორციელებელი სამუშაოებით ცვლილება არ ხორციელდება ფასადის ერთიანი იერსახის აღდგენის მიზნით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მსგავსი სახით განახორციელოთ ფასადის ცვლილება, ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ობიექტი ამონაწერი საჯარო რეესტრის მონაცემებით დარეგისტრირებულია (მშენებარე), ანუ არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, შესაბამისად მსგავს საკითხებზე ნებართვები არ გაიცემა I კლასის რეკონსტრუქციის კუთხით, მსგავსი სახის რეკონსტრუქციაზე საკითხი უნდა დააყენოთ შეთანხმებული პროექტის კორექტირების კუთხით, მაგრამ პროექტის შემუშავებამდე საჭიროა საკითხი დააყენოთ შესაბამისი კლასით "ესკიზის წინასწარი შეთანხმების" კუთხით, წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ფოტო სურათები (გადაღებული რამოდენიმე რაკურსიდან) და ერთიანი იერსახის გათვალისწინებით ფოტომონტაჟის რამოდენიმე ვარიანტი, (შესაბამისი ნუმერაციის, მასალებისა და გაბარიტული ზომების მითითებით),

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის შეფასებით არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული მსგავსი იერსახით ცვლილების განხორციელება , ასევე არჩეული ნომეკლატურაც არ იქნა სწორად შერჩეული , აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.